საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/8265
28/12/2022

8265-21-2-202212281236

შპს „სავანის ველს“

მის: ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. ოჟიო

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №7125 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ახმეტის მუნიციპალიტეტში, სოფ. ოჟიოში 48 500 $მ^3$ მოცულობის ტბორის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება არ შეიცავს ჰიდროლოგიური ხასიათის ინფორმაციას. მდ. ხოდაშენისხევი, რომლის კალაპოტიდან 80 მ მანძილზე დაგეგმილია საპროექტო ტბორის მოწყობა, ღვარცოფული ხასიათისაა. შესაბამისად, მდინარეს გააჩნია ფართო მასშტაბის მუდმივად ტრანსფორმირებადი კალაპოტი. აღნიშნულიდან გამომდინარე სკრინინგის განცხადებაში დანართის სახით წარმოდგენილი უნდა იყოს ჰიდროლოგიური შესწავლილობის დოკუმენტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო